ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5565803

ნომერი: AR1844293

თარიღი : 14.08.2021

გაცემის თარიღი : 25.08.2021

გაცნობის თარიღი : 25.08.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N 66;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა გოგრიჭიანი პ/ნ 12001014132
- თბილისი პ.იაშვილის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 14 აგვისტოს №AR1844293 განცხადებით მომართა კობა გოგრიჭიანმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 15

ივნისის №5450506 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, №66-ში მდებარე №01.12.12.002.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 15 ივნისიდან 2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 5 აგვისტოს №5536968 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში და ჩანაცვლდა აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა განმცხადებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებით შეთანხმებულ +57.30 ნიშნულის გეგმაზე ბინაზე №115-ის ნაცვლად უნდა იყოს მითითებული №117. შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ნიშნულის ჩანაცვლებას ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882020895244, მომზადების თარიღი: 25/11/2020 წ.) თანახმად, №01.12.12.002.045.03.117 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული №117 ბინის ფართობი შეადგენს 60.50 კვ.მ-ს. ხოლო, წარმოდგენილი +57.30 და +60.60 ნიშნულების გეგმების მიხედვით №117 ბინის ფართობი წარმოადგენს 113.9 (53.5+6.1+54.4) კვ.მ. ამასთან, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ვინაიდან აღნიშნული ბინის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს ლიანა როსტიაშვილი, წარმოდგენილ იქნა მის მიერ 2021 წლის 24 აგვისტოს გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, რომლითაც ლიანა როსტიაშვილი ადასტურებს №117 ბინის (ს/კ: №01.12.12.002.045.03.117) ფართობის 113.9 კვ.მ-მდე გაზრდის შესაძლებლობას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ +57.30 ნიშნულის გეგმაზე საცხოვრებელი ბინაზე ტექნიკური შეცდომის შედეგად №117-ის ნაცვლად არასწორად მიეთითა №115.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +57.30 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 და 2021 წლის 5 აგვისტოს №5536968 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.